საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990121777103421

№09/3871 07 / ოქტომბერი / 2021 წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი)
ბატონ კარლო კოპალიანს

ბატონო კარლო,

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განხილულია თქვენი 2021 წლის 21 სექტემბრის MES7210000956171 მომართვა, რომლის თანახმად დაგეგმილია ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N67-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.13.041.016) სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მეორე სასწავლო კორპუსის ფასადის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (შენობის შეფითხვა, შეღებვა) განხორციელება და ითხოვთ სააგენტოს თანხმობას აღნიშნულის თაობაზე.
გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. N67-ში მდებარე (ბრძანებაში იდენტიფიცირებული - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N69-თან) ს/კ 01.10.13. 041.016 თბილისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.
„კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების თანახმად მიეცა უფლება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილების დელეგირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტზე.
ამდენად, ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ძეგლზე სამუშაოების ნებართვის საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მეორე სასწავლო კორპუსის ფასადის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ განცხადებაში მითითებული საკითხის განხილვის მიზნით უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

ასევე, გიგზავნით დანართის სახით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების ამონაწერს.

/დანართი: 1 ფურცელი/

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი

დანართი N1
საქართველოს კულტურის,
ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 1 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების
დანართი №2-ის ამონაწერი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 011702804



1. სახელწოდება - თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა 69
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის I ნახევარი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 21 0000995118

29/09/2021

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს 2021 წლის 21 სექტემბრის N956082 კორესპონდენციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N67-ში მდებარე (ს /კ N01.10.13.041.016), მეორე სასწავლო კორპუსის ფასადის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (შენობის შეფითხვა, შეღებვა) განხორციელების საკითხს, გაცნობებთ, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განახორციელოთ შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ

გაცემის თარიღი

25.01.2022

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 211349192
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1871986
გასაჩივრების წესი :	გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1871986

1. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზების სქემები (სამუშაოების წარმოების და დასრულებული ვარიანტები, საგზაო ნიშნების მითითებით)
2. ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განმცხადებელს მიეცეს 20 (ოცი) დღის ვადა. ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩეს განუხილველი.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი